საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №11

ქ.თბილისი 27.05.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, სხდომის თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას" დირექტორის მოადგილე, მედიცინის დოქტორი; საბჭოს მდივანი;
ნანა გაფრინდაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ზაზა მარუაშვილი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
ზაზა რუხაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო ბერელიძე - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კოორდინატორი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

მაია გონაშვილი;
ნანი არაბული;
თამარ გაიხარაშვილი;
ხათუნა საგანელიძე.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

მერაბ ხალვაში - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ლელა ახვლედიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
სოფო ბერიძე - ასოცირებული პროფესორი;
სალომე ღლონტი - ასოცირებული პროფესორი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

სერგო ვარდოსანიძე - რექტორი;
ნოდარ პავლიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ვახტანგ სართანია;
ჰამლეტ მელაძე;
მიხელი თოქმაზიშვილი;
თემურ კივილაძე.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

მერაბ ბერიძე - რექტორი;
ნიკოლოზ ახალკაცი - რექტორის მოადგილე;
რევაზ ზედგინიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

რესულ დიქმენი - კანცლერი;
გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე-კანცლერი;
დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გიორგი ბაღათურია - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

კახაბერ ჭელიძე - ვიცე-რექტორი;
ირინე კვაჭაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ ახალკაცი - რექტორის მოადგილე;
რევაზ ზედგინიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

სხდომა დაიწყო 14:40 საათზე, საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არ ყოფნის გამო, სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს დავით კახნიაშვილი.

დ. კახნიაშვილი

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტექნიკოსის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული მოდელირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა. დავით კახნიაშვილმა განაცხადა თვითაცილება სამედიცინო უნივერსიტეტის საკითხებთან დაკავშირებით, დაწესებულებასთან თანამშრომლობის გამო. გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ შემოსული იყო ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით, შესაბამისად, საბჭოს ზემოაღნიშნული საკითხი აღარ უნდა განეხილა, შუამდგომლობა ერთხმად დაკმაყოფილდა.

მეორე შუამდგომლობა შემოსული იყო შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტიდან, (წერილის N165; 13.05.2014, ცენტრში რეგისტრაციის N279591) რომელიც ითხოვდა მათი საკითხების უახლოეს სხდომაზე განხილვას, საკითხი ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 24 აპრილის საბჭოს სხდომაზე მიღებულ უარყოფით გადაწყვეტილებებს „ტურიზმის ადმინისტრირებისა“ და „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამებთან დაკავშირებით, შუამდგომლობა გულისხმობდა, რომ საბჭოს უნდა გაეუქმებინა მათივე მიღებული გადაწყვეტილება, რადგან დაწესებულებით მოსაზრებით, გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლები არ გამომდინარეობდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან და აკრედიტაციის სტანდარტებიდან.

დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას შეეძლო გაესაჩივრებინა აღნიშნული გადაწყვეტილებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოში. საბჭომ ერთხმად გაიზიარა მისი პოზიცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დღის წესრიგი ჩამოყალიბდა განახლებული სახით:

დ. კახნიაშვილი

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტექნიკოსის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული მოდელირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ზოოტექნიკოსი
განათლების საფეხური	პროფესიული III
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ზოოტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	010352
კრედიტების რაოდენობა	45

2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ზოოტექნიკოსი
განათლების საფეხური	პროფესიული IV
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ზოოტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	010352
კრედიტების რაოდენობა	60

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტექნიკოსის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ზოოტექნიკოსი
განათლების საფეხური	პროფესიული V
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ზოოტექნიკოსის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	010352
კრედიტების რაოდენობა	60

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული იყო შენიშვნები და შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა რეკომენდაციების შემუშავება. საერთო შეფასება ზოოტექნიკოსის სამივე საფეხურის პროგრამაზე ერთნაირი იყო. არსებული სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პირობებში, პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი არ იყო.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა შენიშვნებს, მათ სხვა პროფესიული პროგრამები შენიშვნების გამო გაიწვიეს, მაგრამ ამ პროგრამებთან მიმართებით სასწავლო წლის დაწყებისათვის შეეძლოთ მემორანდუმებით უზრუნველეყოთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა.

მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ გარდა სასწავლო პრაქტიკისა, პროგრამის სილაბუსები არ იყო მორგებული პროფესიულ განათლებას, შეფასების კრიტერიუმები ყველა სასწავლო კურსისათვის ერთნაირი იყო, შეიმჩნეოდა ადამიანური რესურსების სიმწირეც. მაია ჩიხლაძის პოზიცია გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	090101
კრედიტების რაოდენობა	300

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თამარ გაიხარაშვილმა და აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში განხორციელდა გარკვეული შესწორებები და დამტკიცდა აკადემიურ საბჭოზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა რიგი რეკომენდაციებისა:

- მიზანშეწონილია ლიტერატურის ჩამონათვალს მიეთითოს სახელმძღვანელოს გამოცემის წელი ან/და გამოცემის ნომერი;

- მიზანშეწონილია სილაბუსებში მითითებული საკონტაქტო დრო ჩაიშალოს, განაწილდეს სხვადასხვა სასწავლო აქტივობას (ლექცია, ჯგუფში მუშაობა, ლაბორატორია და სხვა) შორის;

- აუცილებელია დასკვნითი გამოცდისათვის გათვალისწინებული დრო გაიწეროს სასწავლო გეგმაში, ასევე მიეთითოს სილაბუსებში საკონტაქტო საათებად;

- აუცილებელია სილაბუსში მითითებული საკონტაქტო დრო ჩაიშალოს და სასწავლო კურსის შინაარსით გათვალისწინებულ თითოეულ თემას მიეთითოს შესაბამისი საკონტაქტო დატვირთვა;

- მიზანშეწონილია სხვადასხვა სასწავლო ფორმატისათვის (ლექცია/კურაცია) გამოყოფილი დროის უნიფიცირება სხვადასხვა სასწავლო კვირის მიხედვით, ასევე სტუდენტის თანაბარი ყოველდღიური დატვირთვის უზრუნველყოფა;

- სტუდენტის ინდივიდუალური აკადემიური პროფილის ფორმირების ხელშეწყობისათვის მიზანშეწონილია პროგრამაში არჩევითი დარგობრივი სასწავლო კურსების ხვედრითი წილის/კრედიტების მოცულობის გაზრდა;

- მიზანშეწონილია ჩასწორდეს რიგ სილაბუსებში შეფასების სისტემასთან დაკავშირებით დაშვებული გარკვეული უზუსტობები, კერძოდ სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები კლინიკურ მედიცინაში" შუალედური შეფასებებისთვის გათვალისწინებულია 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდისთვის - 40 ქულა. სილაბუსები („კრიტიკული მდგომარეობები და გადაუდებელი ტოქსიკოლოგია", „ზრდა და განვითარება") სადაც მითითებულია შუალედური 3 კომპონენტიანი შეფასება, სინამდვილეში კი გაწერილია 2 კომპონენტიანი შეფასება.

- სასწავლო კურსის ქირურგია (პრაქტიკა) სილაბუსში გაწერილი, სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად, თუ პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ შესასრულებელი კლინიკური უნარ-ჩვევების განმავითარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. მიუხედავად თანამედროვე, კარგად აღჭურვილი, პაციენტთა სიმრავლით გამორჩეული ბაზების არსებობისა ამ მოცულობით მანიპულაციების ჩატარება თითოეული სტუდენტის მიერ პრაქტიკულად შეუძლებელია, თანაც მედიცინის დარგობრივი მახასიათებელი პროცედურების ასეთ მრავალფეროვნებას არ მოითხოვს. სასურველი იქნებოდა უფრო რეალისტური სწავლის შედეგების გაწერა;

- სასურველია გასწორდეს სასწავლო გეგმასა და სილაბუსებში საათების შეუსაბამობასთან დაკავშირებული რიგი ტექნიკური უზუსტობა;

- მიზანშეწონილია ტექნიკური უზუსტობების გასწორება - კერძოდ, სილაბუსებში სასურველია მიეთითოს სწავლების მხოლოდ ის ფორმები და მეთოდები, რომელსაც ითვალისწინებს კონკრეტული სასწავლო კურსი;

-ერთერთ სასწავლო კურსს - „კვლევის მეთოდები კლინიკურ მედიცინაში" სასურველია დაემატოს დამოუკიდებელი მუშაობის საათები, რადგან კვლევას და მასთან დაკავშირებული პროექტის/რეფერატის მომზადებას მეტი დამოუკიდებელი სამუშაო დრო სჭირდება;

-სასურველია გადაიხედოს წინაპირობები. მაგალითად, სასწავლო კურსის „გადაუდებელი დახმარება" (პრაქტიკა) სილაბუსში წინაპირობად მითითებულია „კრიტიკული მდგომარეობები და გადაუდებელი ანესთეზიოლოგია", თუმცა სასწავლო გეგმაში ასეთი დისციპლინა არ არსებობს, სავარაუდოდ არის ტექნიკური უზუსტობა და უნდა იკითხებოდეს „კრიტიკული მდგომარეობები და გადაუდებელი ტოქსიკოლოგია";

- სასურველია გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების დასახელება, მაგალითად მოდული „რეპროდუქტოლოგია" - საკმაოდ ფართო ცნებაა, მედიცინის ცალკე დარგს წარმოადგენს და ამ სახელწოდების დისციპლინა სწავლების მეორე წელს, მე-4 სემესტრში გაუგებარია. ალბათ უფრო სწორი იქნებოდა სახელწოდება იკითხებოდეს ასე - მოდული „რეპროდუქციული სისტემა", მითუმეტეს რომ მის მიზანს სწორედ ამ სისტემის მაკრო- და მიკრო მორფოლოგიის და ფიზიოლოგიის შესწავლა წარმოადგენს, გარდა ამისა არსებობს მსგავსი დასახელების დისციპლინა - მოდული „ლოკომოტორული სისტემის ანატომია-ფიზიოლოგია";

- მოდულის - „აღქმა და გადაცემა" სწავლის შედეგებში აღნიშნულია, რომ სტუდენტს შეეძლება ეფექტური კომუნიკაცია, როგორც მშობლიურ, ისე ინგლისურ ენაზე, გაუგებარია რა საშუალებით არის შესაძლებელი ამ კომპეტენციის გამომუშავება და მისი შეფასება უცხოელი სტუდენტის შემთხვევაში;

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ენობრივი კომპეტენციის მიხედვით პედაგოგთა შერჩევის ერთიანი კრიტერიუმი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის პროცესში უნივერსიტეტს არ ჰქონდა შემუშავებული უნიფიცირებული მიდგომა ენის ფლობის დადასტურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად არ არსებობდა ენობრივი კომპეტენციის მიხედვით პედაგოგთა შერჩევის ერთიანი კრიტერიუმი. პერსონალის უმრავლესობის შემთხვევაში ენის ცოდნის დადასტურება პირადი საქმეებითაც (სერტიფიკატები, სამეცნიერო ნაშრომები და სხვა) ვერ მოხერხდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში ბსუ-ს რექტორის მიერ აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე გამოცემულ იქნა ბრძანება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის, რომლებიც ვერ წარმოადგენენ ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ სერტიფიკატს, საზაფხულო სკოლის ფარგლებში 2014 წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში ინგლისური ენის ინტენსიური კურსის სავალდებულოდ გავლის მოთხოვნის შესახებ;

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტსა და ბაზას შორის გაფორმებულ რიგ ხელშეკრულებებში უფრო დეტალურად განისაზღვროს კლინიკურ გარემოში განსახორციელებელი პრაქტიკული/კლინიკური მეცადინეობის ფორმატი/სახე, სასწავლო ჯგუფების რაოდენობა, რომლის მომსახურებაც შეუძლია კლინიკას თავისი რესურსიდან გამომდინარე (რამდენიმე ხელშეკრულება ითვალისწინებს მხოლოდ გარკვეული ფართის ფლობას)

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. მერაბ ხალვაშმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი ექსპერტთა ვიზიტის დროსვე გასწორდა. მოგვიანებით, დასკვნის მიღების შემდგ კი ყველა პროცედურისა და წესის დაცვით ფაკულტეტის და აკადემიურ საბჭოზე გაიტანდნენ ყველა რეკომენდებულ საკითხს. ყველაფრის ვიზიტის ფარგლებში გასწორება დროის ფაქტორიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა.

დავით კახნიაშვილმა ექსპერტებისაგან ითხოვა, განემარტათ პროგრამა გადიოდა თუ არა შედეგზე. ასევე მიზანი და პროგრამა თუ შეესაბამებოდა ერთმანეთს.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის სტრუქტურა და ინტეგრირებული პროგრამა საინტერესო იყო. მიზანსა და შედეგს შორის კავშირი რთული დასადგენი იყო, რადგან იქედან გამომდინარე, რომ მედიცინა დიდი დარგია და მოითხოვდა სხვადასხვა მიმართულებების ცოდნას, ამიტომ გემოვნების საკითხი იყო, ღრმა ცოდნას სტუდენტები რეზიდენტურიდან მიიღებდნენ. კლინიკური უნარ-ჩვევების სიმრავლე არარეალურად მიაჩნდა ექსპერტს, თუმცა აღნიშნა, რომ კლინიკური ბაზები შესაშურად კარგი ჰქონდა უნივერსიტეტს. რაც შეეხებოდა რეკომენდაციების რომლის გათვალისწინებაც ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა სავსებით ლოგიკურად მიიჩნია, რადგან ლიტერატურასთან დაკავშირებული ტექნიკური უზუსტობები და მემორანდუმების საკითხი ასე მოკლე დროში ვერ გასწორდებოდა. ამასთანავე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს დიდი შრომა ჰქონდა ჩადებული პროგრამის შემუშავებაში რაც ქებას იმსახურებდა.

მერაბ ხალვაშმა წაიკითხა ხელშეკრულების 3.1 პუნქტი რაც გულისხმობდა, რომ შეეძლოთ გამოეყენებინათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა საჭირო რესურსი, ამდენად, კლინიკებთან პრობლემა არ არსებობდა.

დავით კახნიაშვილმა მიუთითა დასკვნაში მითითებული რეკომენდაციის შესახებ რაც ეხებოდა პროფესორ-მასწავლებლების უცხო ენის ფლობას.

პროგრამის ხელმძღვანელმა სოფიო ბერიძემ აღნიშნა, რომ თავიდანვე ვერ გაითვალისწინეს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატების მოთხოვნა, რეალურად ენის ცოდნაში მათ ეჭვი არ ეპარებოდათ რადგან პროგრამაში ჩართული პედაგოგები ჩართული იყვნენ უცხოეთის საგრანტო პროექტებსა და კონფერენციებში. ამასთან უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა საზაფხულო სკოლის ფარგლებში მათი კომპეტენციის დადასტურებას.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა აღნიშნულ პროგრამას თუ ახორციელებდნენ ქართულ ენაზე. პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ ქართულენოვანი პროგრამა ჰქონდათ და ინგლისურენოვანის გაკეთებაც სურდათ, რაც დამსაქმებლის და ბაზრის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გადაწყვიტეს.

ზაზა რუხაძე დაინტერესდა პროგრამა ძირითადად სადაურ სტუდენტებზე იყო გათვლილი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ძირითადად გათვლილი იყო ინდოელებზე, მათ დაბალი ფასი იზიდავთ, ხოლო თურქი სტუდენტები ქართულენოვან პროგრამაზე ჰყავდათ.

დავით კახნიაშვილმა დაზუსტება ითხოვა პროფესორ-მასწავლებლები რამდენად რეალურად ფლობდნენ პროფესიულ ინგლისურს. მისი თქმით, პროგრამის პერსონალის კომპეტენცია უნდა დასტურდებოდეს.

მერაბ ხალვაშმა განმარტა, რომ პროფესორ-მასწავლებლების ნაწილს დოკუმენტურად უდასტურდებოდა კომპეტენცია, ნაწილს - არა. თუმცა პროგრამა და სილაბუსები მათი შედგენილი იყო რაც მათ კომპეტენციაზე მიუთითებდა.

საბჭო დაინტერესდა არსებული მდომარეობით შესაძლებელი იყო თუ არა უცხო ენაზე განხორციელებულიყო პროგრამა.

გიორგი ცხვედიანმა დაადასტურა, რომ შესაძლებელი იყო პროგრამის განხორციელება, მას ნანახი ჰქონდა უნივერსიტეტის სხვა ინგლისურენოვანი პროგრამებიც.

ნანა გაფრინდაშვილმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ურჩია ყოველ შემთხვევაში ჩაეტარებინათ საცდელი ლექცია, რადგან შეიძლებოდა წარმოედგინათ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი, მაგრამ ვერ ჩაეტარებინათ ლექცია.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ ამიტომაც სურდათ საზაფხულო სკოლის გაკეთება, რომ ტესტირებით დაედასტურებინათ ცოდნის დონე.

ნანა გაფრინდაშვილმა და ზაზა რუხაძემ არ მოიწონა საზაფხულო სკოლის იდეა. ტესტირება შესაძლო იყო ერთ დღეში ჩაატარებულიყო.

5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0904
კრედიტების რაოდენობა	120

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თამარ გაიხარაშვილმა და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები აქაც ინგლისურენოვან პროგრამას ეხებოდა.

- ვინაიდან პროგრამაზე მიღების ერთ-ერთი წინაპირობაა უცხო ენის შიდასაუნივერსიტეო გამოცდა, სასურველია დაკონკრეტდეს, თუ რომელ უცხო ენას გულისხმობს დაწესებულების სამართლებრივი აქტით განსაზღვრული გამოცდა უცხო ენაში და ენის ცოდნის რა დონე მოეთხოვება სტუდენტს (სხვა (არაინგლისური) ენის არჩევის შემთხვევაში).
- სასურველია მოხდეს რამდენიმე სილაბუსში კორექტირება:

ა) სასწავლო კურსის ,, სადაზღვეო საქმე" სილაბუსში, მიზანში მითითებულია, რომ ამზადებს ,, დაზღვევის სპეციალისტებს", რაც შეუძლებელია ამ პროგრამის და ერთი კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში.

ბ) სასწავლო კურსის ,, ჯანდაცვის ეკონომიკა" სილაბუსში, გრაფაში კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, წერია - 6 ECTS კრედიტი; 30 საათი საკონტაქტო მუშაობისათვის; 120 საათი დამოუკიდებელი მუშაობისათვის, ხოლო გრაფაში - „ფორმატი" მითითებულია საკონტაქტო 16 სთ., რეიტინგული წერა-10 სთ., შინაარსის გრაფაში თემატიკა გაწერილია 24 სთ-ზე, რასაც ემატება რეიტინგული შეფასებისთვის და ინდივიდუალური პრეზენტაციისთვის გათვალისწინებული 4 სთ. საათების რაოდენობა ერთმანეთს არ შეესაბამება;

- სასურველია ინგლისური ენის ძირითად სასწავლო კურსად გადანაცვლება, ვინაიდან უმრავლესობა სილაბუსებში სწავლის შედეგებში (კომუნიკაციის უნარი) მითითებულია, რომ ,,სტუდენტს შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე", რაც შეუძლებელია ,,ინგლისური ენის" არჩევით საგნად ყოფნის პირობებში (მიღების წინაპირობა ენის B1 დონეზე ცოდნას ითვალისწინებს);
- რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში (მაგ. ,,ეპიდემიოლოგია", ,,მტკიცებითი მედიცინა") წიგნზე მუშაობის მეთოდი და რეფერატის (დამოუკიდებელ კვლევითი პროექტის) მომზადება შეტანილია საკონტაქტო საათებში (ჯგუფურ მუშაობაში). სასურველია მათი დამოუკიდებელ მუშაობაში გადატანა;
- სასწავლო კურსში ,,მედიცინის ზოგადი საფუძვლები" რომლის მოცულობა შეადგენს 5 კრედიტს (40 საკონტაქტო საათი), ცოდნა /გაცნობიერების დარგობრივი კომპეტენცია სასურველია სხვაგვარად ჩამოყალიბდეს, რადგან კურსის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით და წარმოდგენილი თემატიკით შეუძლებელია ამ კურსის დასრულების შემდეგ ,,გამოკვლევის, ინდივიდუალური გამოვლინების, იშვიათი კლინიკური შემთხვევების და ავადმყოფის მკურნალობის მეთოდების შესახებ" ცოდნის მიღება;
- სასურველია გასწორდეს სასწავლო კურსის ,, სამეცნიერო კვლევის მეთოდები"-ს მიზანი და სწავლის შედეგები (კომპეტენცია - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი), რადგან ფრაზები არ არის გრამატიკულად და შინაარსობრივად გამართული, შესაბამისად შეუძლებელია აზრის გამოტანა;
- სასწავლო კურსის ,,სასწავლო პრაქტიკა" სილაბუსში სწავლის შედეგები არ ითვალისწინებს კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას, რაც არასწორია, პრაქტიკით გათვალისწინებულ პოზიციებზე სტუდენტის საქმიანობის პროცესში, ასევე პროფესიულ საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით ეს კომპეტენცია აუცილებელი კომპონენტი უნდა იყოს;

- სასწავლო კურსის ,,ჯანდაცვის ეკონომიკა" სილაბუსში ინდივიდუალური პრეზენტაციის კომპონენტის შეფასებაში სტუდენტს ქულები ენიჭება პრინციპით - ,,3-5" ; 7-10 და ა.შ. როგორ ხდება აღნიშნულ დიაპაზონში კონკრეტული ქულის მინიჭება გაუგებარია და მეტი გამჭვირვალობისთვის საჭიროებს ჩაშლას;
- პროგრამაში პროფესორის აკადემიური თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინის ნაცვლად გამოყენებულია - სრული პროფესორი, რაც უნდა ჩასწორდეს.

ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ რეიტინგული გამოცდა კითხვას გამოიწვევდა და ჯობდა ჩაენცვლებინათ შესაბამისი ტერმინით.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტს დასკვნაში ეწერა რომ არ იყო ბაზრის კვლევის დოკუმენტი, თუმცა არ უხსენებია ამის შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგი გულისხმობდა, რომ დოკუმენტის სახით არ არსებობდა , თუმცა გასაუბრებებით დადგინდა რომ ბაზრის კვლევა იყო ჩატარებული.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ ყველაფერს უნდა დარქმეოდა სახელი არ შეიძლებოდა ყველაფრის შეფუთვა.

15:40 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 16:20 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის პირველ ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტექნიკოსის III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი-6);
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი-6);
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტექნიკოსის V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი-6);
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი-6);
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2014 წლის 15 ივლისამდე მონიტორინგის პირობით (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0).

6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული მოდელირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საინფორმაციო ტექნოლოგიები და კომპიუტერული მოდელირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინფორმატიკის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0401
კრედიტების რაოდენობა	120

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინეს მაია გონაშვილმა და ნანი არაბულმა. მაია გონაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტი წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით უკვე მეორედ განხორციელდა დაწესებულებაში, პირველი ვიზიტის დროს გაცილებით მეტი შენიშვნა იყო გამოთქმული ექსპერტთა მხრიდან, ამჯერად, ბევრი რამ გამოსწორებული დახვდა ექსპერტთა ჯგუფს, დაწესებულებამ გაითვალისწინა მათი მოსაზრებები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე. ექსპერტის თქმით, ვიზიტის მიმდინარეობა ჩვეულებრივ რეჟიმში წარიმართა, მოეწყო შეხვედრები დაწესებულების ადამიანურ რესურსთან, ამასთან, ვინაიდან სტუდენტებთან შეხვედრა წინა ვიზიტის დროს განხორციელდა, ამჯერად სტუდენტებს ექსპერტთა ჯგუფი დამატებით აღარ შეხვედრია. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ მართვის ელექტრონული სისტემა წინა ვიზიტზე არ ფუნქციონირებდა, ამ მხრივაც, ვიზიტის დროს უკვე ამოქმედებული დახვდათ პროგრამა.

ექსპერტმა, ნანი არაბულმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მსვლელობისას იყო რიგი საკითხები, რომელებიც გამოსწორდა, შევიდა შესწორებები პროგრამაში. პროგრამიდან ჩანდა, რომ დაწესებულება გამოუმუშავებდა სტუდენტს მეშვიდე, გუნდში მუშაობის კომპეტენციას, ასევე სილაბუსების ნაწილიც მოიცავდა იმავე ჩანაწერს, ექსპერტთა ჯგუფთან საუბრის შემდეგ დაწესებულების წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული ამოეღოთ პროგრამიდან, ასევე, დაემატა პრაქტიკის კომპონენტი.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- აღსანიშნავია რომ პროგრამაში სავალდებულო საუნივერსიტეტო საგნად გათვალისწინებულია უცხო ენის შესწავლა B2 დონეზე. ასევე ყველა სილაბუსს მითითებული აქვს ძირითად ლიტერატურაში უცხოური ლიტერატურა , რაც გულისხმობს უცხო ენის ცოდნას. სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებით გათვალისწინებული იქნას აბიტურიენტთა უცხო ენის ცოდნის შემოწმება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის მისაღები იყო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ინგლისური ენის დონის დაშვების წინაპირობის სახით მითითებას. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის პირველი ვიზიტის შემდეგ ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე გამახვილდა ყურადღება, მნიშვნელოვანი შენიშვნები იყო შეფასებების ნაწილში ბევრი რამ გაითვალისწინეს, მეშვიდე კომპეტენციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინფორმატიკა სპეციფიკური საგანი იყო და საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთდა მითითება, რომ პროგრამა ორიენტირებული უნდა ყოფილიყო ამ კომპეტენციის გამომუშავებაზეც. მისი თქმით, სასარგებლო სამუშაო ჩატარდა, მთლიანობაში, იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს.

მამია ჯანჯალიამ მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა, წარმოდგენილი სახით უზრუნველყოფდა თუ არა პროგრამა შედეგებზე გასვლას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თუ მათი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნებოდა, პროგრამა შეძლებდა შედეგებზე გასვლას.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა პროგრამის სახელწოდებით, რატომ იყო ასეთი სახით ფორმულირებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამირება გაძლიერებულად ისწავლებოდა, ასევე,

ერთ-ერთი სასწავლო კურსი მოდელირების სწავლებას ეხებოდა, იქ იყო კონკრეტული მაგალითები განხილული. ექსპერტის თქმით, ასევე შესთავაზეს ქსელები გაძლიერებულად ყოფილიყო წარმოდგენილი, რადგან მოდელებში ქსელები განსაკუთრებით აქტუალური იყო, შეთავაზეს და გაითვალისწინებდნენ თუ არა, ეს მათ საქმე იყო.

მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ ეს აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო.

დაწესებულების წარმომადგენლემა აღნიშნა, რომ მათ მოსაზრებით, მნიშვნელოვანი იყო პროგრამაში სათანადოდ ყოფილიყო წარმოდგენილი მათემატიკა, სწორედ ამ პრინციპით იხელმძღვანელეს პროგრამის შექმნისას. ასევე, მისი თქმით, განსაზღვრული ჰქონდათ კურსის წაკითხვა უზრუნველეყო მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის პროფესორს. წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა დაწესებულების კურსდამთავრებულების მიღწევებზე. მისი თქმით, მათი მაგისტრი ამერიკაში ოლიმპიადაზე პირველ ადგილზე გავიდა, 12 მონაწილეს შორის, ასეთი წარმატება პოსტსაბჭოთა ქვეყნის არცერთ წარმომადგენელს არ ჰქონია. ამდენად, კარგი მიღწევები ჰქონდათ. წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა დაწესებულების კონტაქტებზე სხვა ქვეყნების დაწესებულებებთან, ამასთან, ეს არ იყო ფორმალური ხელშეკრულებები. ასევე თანამშრომლობდნენ შესაბამისი მიზნით სახელმწიფო სტრუქტურებთან, გაფორმდა ახალი მემორანდუმები.

მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო გაფორმებული მემორანდუმები, თუმცა, სახელმწიფო სტრუქტურები ასეთ თანამშრომლობას ყველასთან ამყარებდნენ«. მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს გაეთვალისწინებინათ რეკომენდაციები.

7. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0203
კრედიტების რაოდენობა	120

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა მაია გონაშვილმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია გასწორდეს შემდეგი ტექნიკური სახის საკითხი: პროგრამაში უცხო ენის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განაწილება შესწორდეს სილაბუსების შესაბამისად. კერძოდ, უცხო ენის (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული) სილაბუსებში საკონტაქტო საათები მოცემულია 58+4+4=66სთ და დამოუკიდებელი 59 სთ, ჯამში 125, რასაც ვერ ვიტყვით პროგრამაში ასახულ საათებზე (58+8+8=66).
- რეკომენდირებულია, მიეთითოს წინაპირობაში კორპორაციული მენეჯმენტი ისეთი საგნების შესწავლას, როგორიცაა მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები, ბიზნესის სტრატეგიული მართვა, და სხვა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებები გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეეცადნენ ექსპერტების მოსაზრებები გაეთვალისწინებიათ. მისი თქმით, პროგრამა ამჟამად ხარისხობრივად სხვა დონეზე იყო, კარგი გაკვეთილი მიიღეს ამ ურთიერთობით. პროგრამა დაფუძნებული იყო ოთხ ძირითად თემაზე, როდესაც სტუდენტი შემოდიოდა სამაგისტროპროგრამაზე, მას უკვე გავლილი ჰქონდა ძირითადი საფუძვლები მენეჯმენტში, ასევე, აბარებდნენ გამოცდას სპეციალობაში, ასეთი სახით კიდევ უფრო მოქნილი იქნებოდა პროგრამა.

საბჭოს წევრმა, ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის ძველ ვერსიას იცნობდნენ და ახალი უფრო კარგი ნამუშავარი იყო აშკარად.

დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ ეს ის შემთხვევა გახლდათ, როდესაც კარგი ექსპერტები ჰყავდათ და კარგად იმოქმედა უარმა.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ რადგანაც სხვა დაწესებულების წარმომადგენლებიც იყვნენ საბჭოზე, სურდა განცხადების გაკეთება, ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც აკრედიტაციაზე უარის თქმის მიუხედავად, დადებითად განვითარდა პროგრამა და სრულად გაითვალისწინეს რეკომენდაციები დაწესებულების წარმომადგენლებმა, ამდენად, საწყენი იყო, რომ ზოგიერთ დსწესებულება ამ ფაქტის გამო პრობლემას ქმნიდა.

8. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი
სწავლების ენა	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	020308
კრედიტების რაოდენობა	120

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინ ნინო ჯოჯუამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, რიგ სასწავლო კურსებში ჩასწორდეს სწავლის შედეგების ფორმულირება სასწავლო კურსის შინარსის და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონის ფორმულირების შესაბამისად;
- სასურველია, სასწავლო კურსში „ვებ ტექნოლოგიები" დაემატოს HTML5 და JQuery პროგრამირების საკითხები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები დეტალურად განიხილეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ხუთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უფრო დაიხვეწა და დეტალურად გაიწერა. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი ცვლილებიბი პროგრამაში განხორციელდა, საილუსტრაციოდ წარმოღებული ჰქონდათ საბჭოს სხდომების გადაწვეტილებები, ასევე, ყველა სილაბუსი და შეეძლოთ საბჭოსთვისაც წარედგინათ.

მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ გაეცნო პროგრამას, ყველა სილაბუსი წაიკითხა და მართლა ფანტასტიურად იყო წარმოდგენილი. იმდენად იყო ყველაფერი გაჯერებული, მხოლოდ მიესალმებოდა პროგრამას. დაუჭირა მხარი პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებას.

9. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ფარმაცია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფარმაციის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0903
კრედიტების რაოდენობა	180

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ხათუნა საგანელიძემ რომელმაც საბჭოს მოახსენა, რომ პროგრამა განმეორებით იყო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი, შეეძლო დაედასტურებინა, რომ ყველაფერი გათვალისწინებული იყო. ტექნიკური ხარვეზები აღმოაჩინეს ვიზიტის მიმდინაროებისას, თუმცა, ადგილზე ჩასწორდა. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა პროგრამა და გააცნო საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული მოსაზრებები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე:

- პროგრამა მოიცავს კურსს „უმაღლესი განათლების პედაგოგიკა და ფსიქოლოგია", რომელიც ზოგადად განიხილავს ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის საფუძვლებს, მაგრამ ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობით დოქტორანტს უფლება აქვს არჩეულ იქნას ასისტენტის თანამდებობაზე, სასურველია აღნიშნული კურსი (ან თუ შესაძლებელი იქნება პროგრამას დაემატოს შესაბამისი კურსი) მოიცავდეს ისეთ საკითხებს, რომელიც განიხილავდა სწავლების თანამედროვე მეთოდებს, საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო სილაბუსების სტრუქტურირების საკითხებს, რაც გააფართოვებდა დოქტორანტის ტრანსფერულ გაფართოებას და მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე;
- სასურველია სილაბუსში „ბიოეთიკა, ბიოსამედიცინო კვლევის ეთიკა" ტერმინები „ჩათვლა" და „გამოცდა" შეიცვალოს ტერმინებით „შუალედური გამოკითხვა/შუალედური გამოცდა" და „დასკვნითი გამოცდა";
- სასურველია სილაბუსებში უფრო დაკონკრეტდეს ცალკეული კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები.

ზაზა მარუაშვილმა ითხოვა დაზუსტება, დამტკიცებული იყო თუ არა პროგრამის საბოლოო ვერსია. ექსპერტმა დაადასტურა, რომ ნახა პროგრამა, რომელიც დამტკიცებული იყო სათანადო წესით, აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რიგი ცვლილებები შევიდა პირველი ვიზიტის განხორციელების შემდეგ, ამჯერად საუბარი იყო ტექნიკური ხასიათს უზუსტობებზე, რაც გამოვლინდა ბოლო ვიზიტის დროს, ადგილზე შესწორდა, ხოლო ნაწილი შესწორების პროცესში იყო, ყველა რეკომენდაციას იზიარებდნენ და მუშაობდნენ მათ გათვალისწინებაზე.

10. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0904
კრედიტების რაოდენობა	180

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ხათუნა საგანელიძემ რომელმაც საბჭოს მოახსენა, რომ აღნიშნული პროგრამაც განმეორებით იყო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი, ჯგუფმა დადებითად შეაფასა პროგრამა და გააცნო საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული მოსაზრებები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე:

- სასურველია სილაბუსში ,,აკადემიური წერა ინგლისურ ენაზე" ლიტერატურას მიეთითოს ის გვერდები, რომლის დამუშავებაც ევალება დოქტორანტს, ვინაიდან დამოუკიდებელი საათების რაოდენობის მიხედვით შეუძლებელია მითითებული ძირითადი ლიტერატურის სრულად და ორი პრეზენტაციის (სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ) მომზადება.
- სასურველია სილაბუსებში გასწორდეს სახელწოდებებში არსებული ტექნიკური შეცდომები (,,სამეცნიერ კვლევის საფუძვლები", ,,უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია", ბიოეთიკა, ბიოსამედიცინო ეთიკა").
- სასურველია სილაბუსში ,, ბიოეთიკა, ბიოსამედიცინო კვლევის ეთიკა" შეფასების ფორმა „ჩათვლა" შეიცვალოს სხვა სახელწოდებით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსების ნაწილი სხდომაზე სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ორივე პროგრამის შემთხვევაში იდენტური იყო, ამდენად, იდენტური იყო ტექნიკური უზუსტობებიც, ამდენად, კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ ითვალისწინებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს.

ნანა გაფრინდაშვილმა არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება, მისი თქმით, დოქტორანტურაში ლიტერატურის გვერდების მითითება უხერხული იყო, დოქტორანტი მეცნიერად უნდა ჩამოყალიბებულიყო და თავად უნდა განესაზღვრა კონკრეტულად რომელი გვეერდი იქნებოდა მისთვის საჭირო.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში საუბარი ჰქონდა არა ლიტერატურაზე, არამედ სილაბუსებზე.

ნანა გაფრინდაშვილის მოსაზრება გაიზიარა ზაზა მარუაშვილმა, სამაგისტრო და სადოქტორი საფეხურზე, მისი თქმით, საჭირო არ იყო ლიტერატურის გვერდების მითითება.

16:55 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 17:20 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის მეორე ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული მოდელირების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);
- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 0; წინააღმდეგი-6);
- შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის (ინგლისურენოვან) სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი-0).

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 17:25 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით კახნიაშვილი

მდივანი
მაია ჩიხლაძე